გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2017 წლის 17 აგვისტო

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული მოხელეთა იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 იანვრის № 5 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 12/01/2016, 190040000.35.148.016311) „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კონსტანტინე თავზარაშვილი**

დანართი №1

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	პოლიტიკური თანამდებობის პირები	რანგი	კატეგორია	საშტატო რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო(ლარი)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	-	-	1	2650
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	-	-	1	2210
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	-	-	5	1755
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	-	-	8	1755
	პროფესიული საჯარო მოხელეები				
1.	აპარატის უფროსი	I	-	1	1400
2.	უფროსი სპეციალისტი	III	II	12	790

3.	უმცროსი სპეციალისტი	IY	I	1	728
	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულები				
1.	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	-	-	2	1027
2.	კონსულტანტი	-	-	1	790
3.	ვებ. გვერდის ადმინისტრატორი	-	-	1	560
4.	მძღოლი	-	-	1	790